

# ივერი

გაზეთის დასაყვეთად და კერძო განცხადებებში დასაბუთებლად უნდა მიჰქონდეთ: თვითონ რედაქციას, ანაღ-ბეგუთოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავკრძოვს საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქოვის წიგნების მაღაზიას.  
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

1877—1886 წელიწადი **საბოლოტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1886 წელიწადი

## გაზეთი „ივერია“ 1 ივნისსიდან წლის დამლევაძღვ ღირს 6 მან. 50 კაპ.

ბანსხადება.  
25-ს ამ მისს დანიშნული მო-რიგი კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი მწევრთა არ შეიკრიბა და ამიტომაც დანიშნულ იქნა ამ მორიგი კრებისათვის მეორე ვადა 3-ს ივნისს, სადაამს შვიდს საათზედ, არწრუნი-სეულს თეატრში.

ტუილისი, 26 მაისს  
არამც თუ საზოგადოებრივს საქმეში, კერძო კაცის საქმეშიაც შესაწყნარებელი არ არის იმისთანა მითქმა-მოთქმა, რომელსაც მოკლე ფეხები აქვს, რადგანაც შინაგანად ყოველ დირსებას მოკლებულია. თუ ამისთანა მითქმა-მოთქმა ზოგჯერ სჭრის და ფეხს იკიდებს ხოლმე—ეგ მართალი იმით, რომ გულის მოსაგები ფერ-უმარილი უსვია და, თუ კაცი არ ჩაუფიქრდა, ადვილად წაიტყუებს ხოლმე. როცა კაცს ცალკე,

## ფელეტონი

ბალის მშენებლის იღვალის

ქართულს საერო ლექსებში.  
(დასასრული\*)

მეორე რიგობისა  
ა) ტანის შესახებ

იღვალის დავებარად ქალი უნდა იყოს მალალი „აღვის ხესავით“, სწორე „ღერწამივით“ და წერილი. რასაკვირველია, როგორც ტანად კაცს, ისე ქალს ამაყი, მედიდური შეხედულება აქვს და ხალხის სურვილი და გემოვნებაც ესა ყოფილა.

1. ქალაგ, ღამისად შეყრილა, აღვის ხეს ჰგებნარ ტანად! ნეტამც ე გული ტიალა თავს შემოიკლა შანად.
2. დეკემა რომ დამიჭირეს, გამატარეს წეროვანი; მიყვარს მე ქალი ტანადი, ღამისა და ფეროვანი.
3. მეუკვსა სამ, ვთსოკე. ესა-შირი სელაქანი,

\*) იხ. „ივერია“ № 106 და 109.

და საზოგადოებას ერთად რამ უჭირს და ეძიებს სახსარს გაჭირებისაგან თავის-ხსნისას მაშინ, ჭეშმარიტმა მოძმემ, მართალმა გულშემატკივარმა ისეთი რჩევა უნდა მისცეს, რომელიც გარემოებას შეეფერება და რომელიც ასახდენია და აღსასრულებლად შესაძლებელი. თორემ იმას რომ გამოუდგეთ,—აცა რაც იმება, ის ვუთხრაო, ეს ძმობა კი არა,—მტრობა იქნება და, სწორედ მოგახსენოთ, ადვილი საქმეც არის. ამისთანა შემთხვევაში საქმე ის კი არ არის—გაჭირებულის გული მოიგო ცარიელის სიტყვით, არამედ ის, რომ თუ საშველია რამ, ეშველოს, თუ არა და მოურიდებლად, პირ-და-პირ, დობე-ყურეს მოუდებლად უთხრათ: საშველი არ არის და ტყუილად გაგიზვიადებია სურვილი-თქმა.

იყო, მაგალითებურ, დრო, როცა ბატონ-ყმობის გაუქმების ხმებით შეწყობულს თავად-აზნაურობას გულისა ჰფხანდნენ იმით, რომ თვითონ კამელს კაცზედ სამოც-სამოც თუმანს გამოგიტანოთ, ნუ გემინანთო. რა თქმა უნდა, ამ გულის მოსაგებს ადამიანს ბევრი აჭკვა, მაგრამ ბევრმა კი დიდის ეჭვით გაიქნია თავი და ეს დაუჯერებელი დაპირება ქარს გაატანა. ეს უჯერო ხალხი ამბობდა: „ნუ გჯერათ, ეგ შეუძლებელი არისო... ვინ იტყვის, რომ სამოც-სამოც

ზად საჯდომად ლურჯი კვიცი, წინ მინდორი კვლოვანი, საკოცნელად თეთრი ქალი, ტან-წერილი და ფეროვანი

4. მე ვარ და ჩემი ნახადი გამთენებელი ღამისა. მოკვდები, ვაჯრი ჩამეკება სამის ღამისა ქალისა: ერთი მეტად ღამისა, მეორე ღერწამი ტანისა, მესამე ასეთი არის, გამთენებელი ღამისა.

5. მე შემოდგანა წამოკვლ, ჩამოვარე გზა წვრილი; წინ ქალი შემომეყვანა, ტურფა იყო და ტან-წერილი.

6. ქალაგ, ტან-წერილი, ღამისა, გაღანრილი თემოშია!...

უკანასკნელი ლექსი უფრო შესანიშნავია: ვარდა იმისა, რომ ეს ლექსი წინა ლექსებს წავაგეს, აქ დამატებითი აზრიც არის გამოთქმული: ქალს უნდა „თემოში გაღანრილი“ ტანი ჰქონდეს. წელში მოხრილი საზოგადოდ აღმანიის თვალში სილამაზეს არ წარმოადგენს.

თუმანი თითო კამელზედ კაი ლუკმა არ იყო, მაგრამ ვინც კი ამ ლუკმისათვის მაშინ პირი დახლო, ისე პირ-ღია დარჩა დღევანდლამდე.

ამისთანა მითქმა-მოთქმას ჩვენის ბანკების თაობაზედ ხომ ბოლო არა აქვს. ერთხელ და ერთხელ საჭიროა რომ ბოლო მოეღოს. ეს მითქმა-მოთქმა თვითონ ბანკებსაც აბრკოლებს, სახელს და აბრუს უტყუას, ბანკიდან ვალის ამდებსაც რაღაც ტყუილ იმედებს აძლევს და უამისოდაც უზრუნველს უფრო უზრუნველად ჰხდის. ბანკიც წავაგებია ამ უზრუნველობის გამო და ვალის ამდებებს. ამ შემთხვევაში დობე-ყურეს მოდებ და დობე-ყურეს საქმისა. საჭიროა გულს ახდილად დავაზრაკი, პირ-და-პირი, პირ-მო-უფერებელი თქმა.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ისე პატივცემულია ჩვენში, რომ მისი სიტყვა განუკითხველად ბევრსა სჯერა. ჩვენ კი, იმედია, მოგვიტყუებს, რომ განუკითხველად არ ვიჯერებთ. ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი იმოდენად განათლებული კაცია, რომ ითავილდებს კიდევ, თუ ვინმე განუკითხველად, ბრმად აჭკვება მის სიტყვასა, ნამეტნავად ამისთანა საზოგადო საქმეში, როგორც ჩვენს ბანკებსა, ჩვენის ფიქრით. რაკი საქმე ასეთა, ჩვენ თამამად შევუდგებით მის წერილის განხილვას.

ბ) შესახებ კანის ფერისა, თვალ-წამწამ-წარბისა და თმისა.

უკვე მესამე ლექსში იყო ნახსენები „თეთრი“ ქალი და „ფეროვანი“. ფეროვანს ხალხი წითურს ეძახის—ესა სჩანს შემდეგ ლექსებშიც, სადაც პირ-და-პირ დასახელებულია: ლოყა-წითელი. ქალს თმა უნდა ჰქონდეს „გრძელი“, ხშირი („ცხრა ნაწნავიანი“) და „გიშრის ფერი“; თვალ-წარბი აგრეთვე შევი.

7. ქალა, თეთრო და შევთვალე, გძელ-თმიან, ლოყა-წითლო! მე შენგან ვარ, შენკა სხვისგან, აჭე, ბემა, უკეთურო!

8. გოგოგ, ეგეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირია; მინდოდა დიდსან მეტყობრა, რად მომარადე პირია?

9. ქალმანი ამოკასნი დეკეულს ფენსეულაო; რა იქნება, თეთრო გოგო, მაკოცნინო ერთსეულაო!

10. მალღიდგან გამომდგარიყო თვალ-ტყუენ თეთრი ქალიო, სელს მიქნეეს ზა ამოდი, შინ არა ჩემი ქმარია.

11. დიღით ადრე გადმოკვდი, იდექი ჩარდასშიაო;

ბ-ნი ყიფიანი ბრძანებს: ჩვენ „ასე დავიდგინო, ასე ავიშენო ბანკი, რომელიც ორმოცის თუ სამოცი-ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხება გაჭირებაში ხელის გამართვა-საო“.

არა, ბატონო, ეს მართალი არ არის. სამოცი-ათასის თუმანის ტრიალი ყველას ვერ მოგიხერხებდათ გაჭირებაში ხელის გამართვასა. ჯერ თითქმის ათი მილიონი ფული დაატრიალა ჩვენში ჩვენმა ორმა ბანკმა და გაჭირებაში დღესაც ბევრს ვერ უმართავს ხელსა და სამოცი-ათას თუმნით იმას ვით შესაძლებელი, რაც თითქმის ათმა მილიონმა ვერ შესაძლო, ეს ერთი. მეორე—ბნის დიმიტრი ყიფიანის სიტყვითვე დავამტკიცებთ, რომ ეგ იმედი არამც თუ ვისმეს ჰქონია ბანკის ამენების, თუ დადგინების დროს, არამედ თვით ბ-ნს ყიფიანსაც ფიქრად არ გაუტარებია და რად ბანკებს ენდა ამას, არ ვიცით.

ბ-ნი დიმიტრი ყიფიანის საკუთარი პრაქტიკი ბანკისა, რომელიც მთავრობამ უარ-ჰყო და არ დაამტკიცა, ამბობს:

§ 38 ნანგრძლივი სესხი მიეცემა ბანკის მიერ ზოგი ნადდის ფულით, ზოგი საკრედიტო ფურცლითა,\*)—და სხვანი.

\*) ესე იგი, ეხლანდელი გირავნობის ფურცელი.

რა ტურფად შემოგსედევი, დავიშლე ტანშიაო; ნეტავი სიხმარში გნახო, გაგოცო შეე თვალშიაო.

12. ქალა, ქალა, შევ-თვალაო! ბიჭმა შემოგიტოვალაო: „ან მამე ჩემი დანაო, ან წამიყვანე თანაო“.

13. ქალა ღამისა, თვალ-შავო, წამ-წამ გიშრისა, თმა შევო! ეგ შენი სასე მიჩვენე, ია და ვარდი გუშხლო.

14. ქალა ასეთი თეთრი ხარ, როგორც კვდელზედ კირია; სიხმარში მომკოცნადები, წამოკვდები და კტირიაო.

15. ღამისა და მშვენიერო, ღვინის ფერო მდინარეო! მე რომ შენგან წამოკვდი, თავი მომიმანარეო.

16. შემოგსედევი ბროლის ზარსა, წარბი წერილად აგიყრია, ცხრა ნაწნავი, გიშრის თმანი მსარ ბუჭსედა გადგიყრია.

17. ვისი ხარ, გოგო ღამისა, ვის გაუხდისან შეილადა? არც გინდა პირის დაბანა, არც წარბის ღება ხშირადა.

§ 39 საკრედიტო ფურცლები გამოცემულ იქნებიან იმდენი, რამოდენსაც ნამდვილი საჭიროება მოითხოვს არამც თუ მართლ ხანგრძლივის, არამედ ხან-მოკლე სესხისათვისაც. ხოლო ჯამი საკრედიტო ფურცლებისა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის ძირის ფულს ათჯერ მეტად.

უკეთუ ორმოცისა თუ სამოცი-ათას თუმნის ტრიალი ყველას მოუხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასა და მართლ ესა ყოფილა პირვანდელი იმედი ბანკის დამფუძნებელითა, რაღა საჭირო იყო საკრედიტო ფურცლები ძირის ფულზედ ერთი ათად მეტი, სახელდობრ, ოთხისა, თუ ექვსის მილიონისა!.. რად შეიტანა ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ზემოდ მოყვანილი ორი მუხლი თავის პრაქტიკში, თუ მართლ მართლ 400,000, ანუ 600,000 მანეთის ტრიალი ყველას მოუხერხებდა გაჭირებაში ხელის გამართვასა? ამ სახით ბ-ნის დიმიტრი ყიფიანის საკუთარი მოწმობა ხელთა გაგქვს, რომ ბანკი, პირველ დადგინების დროს არ დასჯერებია 400,000, თუ 600,000 მანეთის ტრიალს და ოთხისა თუ ექვსის მილიონის საკრედიტო ფურცლებიც მოუწვევია საშველად და დასატრიალებლად. მასასადამე, არავის არა ჰქონია იმედი, რომ ბანკი 400,000 თუ 600,000 მანეთის ტრიალით ყველას მოუხერ-

18. ღამისა, ყელი ბროლს გივაეს, შუბლი თრიალეთ მინდორსა, ვაღებატევა თვალ-წარბი, პირა მიგვიკვს შენ მსესა.

მე-17 ლექსი ღამისა ქალის შესხმას შეიცავს. სხვათა შორის ამ ლექსში წარბიც არის ნახსენები; იმის მაგიერად, რომ პირ-და-პირ იყოს ნათქვამი: „შევი წარბები გაქვსო“, აქ ასეთი ფორმაა ნახმარები: „წარბის ღება ხშირად არ გინდაო“. ეს ჩვეულება, ე. ი. წარბისა და თმის ღება დღესაც გავრცელებულია ჩვენში; ვგანებ, ეს ჩვეულება სპარსეთიდან უნდა იყოს გადმოღებული. ხშირად ბუნებისაგან მინიჭებულს მოწითალო, ანუ მოთეთრო თმას არა სჯერდებიან და ერთი საშუალება-ლა რჩებათ—შეღება. ეს გარემოება მაინც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი შედგენილია წინაშე უპირატესობას აძლევს.

უკანასკნელს, მე-18 ლექსში „შუბლის“ დასახტავად ისეთი მარტივი და თავისებური შედარება ნახმარი, რომ არა ერთი განმარტება აღარ არის საქირა: „ღამისა, ყელი ბროლს გივაეს, შუბლი თრიალეთ მინდორსა“. სჩანს ხალხს ჰყვარებია მინდორსავით ვაღაშლილი შუბლი.



ხედავს გაჭირვებაში ხელის გამართვას და ეხლა კი იგივე ბ-ნი დიმიტრი უიფიანი ბძანებს:

„ასე დავადგინეთ, ასე ავიწყო ბანკი, რომელიც ორმოცისა თუ სამოცი-ათის თუმის ტრიალით ყველას მოგვიწოდებდა გაჭირვებაში ხელის გამართვას“.

რომელი ერთი დავიჯეროთ? რად უნებებია ბ-ნი დიმიტრი უიფიანი ამისი თქმა ეხლა? ბევრი კი მოიფხანს გულისა და იტყვის: ვაი ეს რა დღეში ჩავცვივნივართო!... აქ ათი მილიონი ფული დაატრიალეს ჩვენმა ბანკებმა და ვერ მოგვიხერხეს ყველას გაჭირვებაში ხელის გამართვა და თურმე ნუ იტყვი, 400,000 თუ 600,000 მანეთის ტრიალით ყველას ხელს გაგვიმართავდა ის საოცარი ბანკი, რომელიც ბ-ნს დიმიტრი უიფიანს სდამებია. გულის ფხანა კარგია, მაგრამ ვანა ევ საქმეა!..

მეტად გაკვირდა ეს წერილი და დანარჩენს სვადინდელს ნომერში გავარჩევთ.

### ახალი ამბავი

\* \* ამ დღეებში იყო გამოცხადებული თქვენს პატივცემულს გაზეთში, რომ მოდიან კომპანიები სხვა-და-სხვა მდინელობის შესამუშავებლად და პატრონებისაგან ასაღებად... აი სხვათა შორის ახალი მადანი:

ტფილისის უფლში, მანგლისის გვერდით, სოფელს ზემო-ოგისში, თავადი გიორგი ვახტანგის ძე ბარათაშვილის მამულში გამოჩნდა ჩინებული ღირსების ქვა-ნახშირი (КАМЕННЫЙ УГОЛЬ). უკეთესს ღირსებას ამ ნახშირისას შეადგენს ისა, რომ არის მაგარი, უბრალოდ არ იფხენება, საკვირველი ცხოველი ალი და ცეცხლი აქვს; ცეცხლი ეკიდება ადივალად, იწ-

### ბ) ყელის შესახებ

ყელზე უკვე იყო ნათქვამი (მე-18 ლექს.); ყველა სხვა ლექსებშიც ერთ გვარად არის ხმარებული მხოლოდ ორი ეპიტეტი: „ბროლისა“ და „მოღერებული“. ვგანებ, ბევრიც რომ ვეცადო უკეთესს სიტყვებს ვერ გამოვიძებნი იმ აზრის გამოსახატავად, რაც ხალხს მარტივად და გაუჭირებელივ გამოუხატავს. ყელის მოღერება თავმოწონების, ამაყად ყოფნის ნიშანია და ბროლი—სითეთრისა და სიმჭირვალისა.

19. შინი ჭირიძე, ღამაზო, ყელი მოგიღერებია; ნეტავი შინის ვოცნითა გული გამაჭურბია!

20. ამალმდელი დამო, ნუ გათენდება მალე; ბროლისა ყელსა ვენევი, გულან ვიპოვი სვალე!

21. იპრეთი დამივლია, ქართლი შემიჭურბია; არ მინახავს შენისთანა; ყელი მოგიღერებია.

### დ) მუშუ-მკერდისა და სიამრდის შესახებ

ამ საგნის შესახებ ჩვენს ხელში ნაკონს მასალაში ერთი ლექსის მე-

თის დიდს ხანს და რამდენიმე ხელობა შეგიძლიანთ ეს ნახშირი იხმაროთ: რაკი აღარა გჭირდებათ, ჩააქრობთ და მემრე ისევ ანთებთ, როცა საჭიროება მოითხოვს.

ეს მამული არის ზედ გზა-ტყეცილ-ზედ. გარშემო ყოველთვის იშოვება საკმაო მუშა ხელი და სამუშაოთა და გადასატან-გადმოსატანად საქონელი, ურმები და ფურგონები. შ.რსეს გზა მილის ქალაქიდან, ესე იგი ტფილისიდან, შიგ მამულში.

როგორც სხანს ადგილებიდან, სადაც ამოდის ეს ნახშირი, ამას უნდა ეჭიროს დიდი სიფრცე და მიწაშიაქ ძალიან ღრმად უნდა იყეს წასული.

\* \* საიმპერატორო არხელოგიურს კომისიას პეტერბურგისა არხელოგ დ. პ. ფურცელაძისთვის მიუწვდია, გამოიკლიოს ძველი სასაფლაო გორხანები და ქალაქები კანეთში. ყველა ძველებური ნივთი, ან ნაშთი, რომელსაც-კი ფურცელაძე აღმოაჩენს, უნდა გარდაეცეს ხსენებულს არხელოგიურს კომისიას გასაშინჯავად და შემდეგ შეინახება საიმპერატორო ერმიტაჟში და ან სხვა რომელიმე სახანო მუზეუმში. უკვე გაცემულია განკარგულება, რომ ადგილობრივ მთავრობამ ყველაფრით ხელი მოუშალოს დ. პ. ფურცელაძეს მინდობილ საქმის შესასრულებლად და არაფრით ხელი არ შეუშალოს მის გამოკვლევათა სახანო და საზოგადო მიწებში. რაც შეეხება კერძო პირთა მამულს, მათ მამულებში გამოკვლევა მამულთ-მფლობელთა ნებაზე იქნება დამოკიდებული და ამასთანავე, თუ ვინც-მეც აღმოაჩნდა რამე, რომელიც კერძო მხრივ და ისტორიულად ეკუთვნის რამე, თუ მამულთ-მფლობელი მოსურვებს, მიიღებს კომისიისაგან ღირებულს სასყიდელს.

ბ-ნს ფურცელაძეს გერ-ჯერობით განზრახვა აქვს შემდეგი ადგილები გამოიკლიოს: სილნლის მახარაში—სოფ. კერამი და ყარაგაჯი, და თელავის მახ-

ტი ვერ ვიპოვეთ; მაგრამ ეს ერთი ლექსი ისე მკაფიოდ მხატავს საგანს, რომ მეტიც საჭირო აღარ არის:

22. გოგოს ჭირიძე, გოგოსი, მარდად დაჯდება, ადგება; თავი რომ მივლო ძუძუზედ ბალიშად გამომაღდება.

### ე) ტუჩების შესახებ

23. «ნახსა ტუჩებს დაგაგონი», ბიჭმა შემომითვალა; თაუ-ხედობამ მწიქნისა, ფერი მინ მიგვალა.

### ვ) მკლავ-თითების შესახებ

24. ქალი ჩავიდა ზღნისა, კანს წაუყარა კაღებში; ლამაზი კლანეი გამოყო, მარგალიტისა თითები; შეგინდამ გამოამხალა; „ბიჭო, არ დაგებოყუბი“.

### ზ) სიარულის შესახებ

25. ღამაზო, შენ გენაცვალე! მშველსა გიგავს სიარული; მუდამ შენთან რომ მამოყოფა, რად არ ვიყო მსიარული?

რასაკვირველია, მშველმა რა სიარული იცის, ყველასათვის ცხადია; ამიტომ ეს მშვენიერი შედარებაც ყველასათვის გასაგებარი უნდა იყოს.

რამი—ძველი ქალაქები გრემი და ნეკრესი.

\* \* როგორც ამბობენ, 1 იენისიდან დაიწყო ოპერეტების დადგმას «Семейный сад»-ის სცენაზე. ანტრე-რენორად ტფილისელების ნაცნობი აქტრისა ქ-ნი საბლინა-დოლსკისა იქნება.

\* \* 23 მაისს ვილაქა საეკო მთვრალს კაცს ფოსტაში წარუდგენია შემოწმებული უწყება 50 მანათლ ღირებულის პაკეტის მიღებისა. პაკეტი უკვე მიეღო და ის იყო თურმე გასვლას აპირებს, რომ ერთმა ფოსტაში მყოფ მოხელეთაგანმა ეს პირი ქურდად და ჯიბგირად იცნო. ეს კაცი მაშინვე დაუტუსაღებიათ და პაკეტი კი გამოუტოვეთ უკან. როგორც შემდეგში აღმოჩენილა, ეს უწყება ამ კაცს კანონიერ მფლობელისაგან მოუპარავს.

\* \* ამ დღეებში ტფილისში ოსმალეთიდან მოვიდა ორი სომხის ბერი, რომელნიც მიმგზავრებინან ემიძინში ებისკოპოსად კურთხევისათვის. ერთი მათგანი—მალაქია ორმანიანი იქნება არზრუმის ებისკოპოსად და მეორე—გარეგინ სრუნტენდი—ტრაპიზონისად. ამათგან ორმანიანი შესანიშნავი მქადაგებელია და წარსულ შაბათსა და კვირას, როცა ამ ბერმა იქადაგა, ვანქის ეკლესია საცხე იყო მრევლითა, რომელთა შორისაც ბევრსა ნახვდით სომხობის უმადლესის საზოგადოების ნაწევლ მწვერთა.

\* \* გუშინ თავად-აზნაურთა ბანკის ახალ სადგომში დანიშნული იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრება, ხოლო რადგანაც კრებისათვის საჭირო წევრთა რიცხვი არ დაესწრა, ამისათვის კრება არ შესდგა და დანიშნა მომავალ სამშაბათისათვის, 3 იენისს, არწრუნისეულს თეატრში, საღამოს 8 საათზედ.

### მესამე რიგობისა

როგორც ზემოდაც ვსთქვით, ამ რიგობის ლექსებში ულამაზობის თვისებანია ნაჩვენები. თუ ქალი ამ თვისებათა პატრონია, ხალხის აზრით, იმას ლამაზი აღარ ეწოდება.

26. გენსლა და ნათი მოგვალს, ჩერქეზის ქალა თინაო! შავი ხარ არაბიეთა, ყოჩანისთა ჭფრინაო.

27. ვაშლა წითელი, შენ გესვრი! თუთრა, შენ ჩამოვარდება! ღამაზო გოგო, შენ გეკებ, შავო, შენ გამოვარდება!

28. მინდორ-მინდორ მოგდიოდი, ალაგ-ალაგ ჭოჭოე იყო; შე ისიკ აღარ ვიცდიდი, თუ ეს ქალი კოკლი იყო.

\* \*

თუმცა იდეალის გამოსაკვლევად საკმაო მასალა არა გვქონდა ხელში, მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მაინც-და-მაინც ეს საგანი საკმაო სისრულით არის დახატული ჩვენს საერო ლექსებში. მართალია, ჩვენს მასალაში გერაფერი ვერ ვპოვეთ ზოგიერთა იმისთანა თვისებათა შესახებ, რომელნიც ხალხისავე აზრით, ლამაზის ქალის აუცილებელ

\* \* მეტის-მეტი სიციხეების გამო, რუსულის თეატრის ანტრეპრენორს იე. ფითოვეს განუზრახავს ზაფხულის სეზონი დანიშნულს ვადაზედ ადრე გაათავოს. უკანასკნელ წარმოდგენებად გამართავს ოპერებს: «მაკკავეისა» და «ფერიკანკას». საათ იენისოთ ფითოვეი თავის დასით ქუთაისში აპირებს წასვლას და იქ რამდენიმე წარმოდგენის გამართავს.

\* \* ჰარასკეს, 23 მაისს ტფილისში მოვიდა კოლლექსი სოვეტნიკი ნავალიხინი, რომელიც ტფილისის სახანო პალატის გამგებელად არის დანიშნული.

\* \* შულავერიდამ მოუწერიათ, რომ აქ ერთი ვილაქა შინაური ექიმია, რომელიც ყველა სატყირებს არჩენს და უმეტესად იმ სატყირებს, რომლითაც ხშირად ხდება ავად მდაბიო ხალხიო. იქამდე პატივსა სცემს ამას მდაბიო ხალხი, რომ ხმა გაუგლიათ, ვითომ თითონ მახრის ექიმი გამხდარიყოს ავად, ამ ექიმისთვის მიემართოს და მას მოკრიწოს. ამას წინედ კი ამ განთქმულმა ექიმმა ერთი თავის ავად-ყოფათაგანი კინაღამ თავის მამა-პაპასთან გაისტუმრა, იმისთანა წამალი დააღვიწია.

\* \* ახალ-ციხიდან გვწერენ, სოფ. აწყურში ამ დღეებში ერთი უბედურება მოხდა: ერთის სომხის ხელოსნის შვილი, დედით ობოლი, 9 წლის ვაჟი თავის აშხანაგებთან ერთად მთამაშობდა ტიფზე. უცნაურ ტიფ დაუტოკდათ და ეს ყმაწვილი მტკვარში ჩავარდა. ერთი მოცურავე არ გამოჩნდა იმ დროს, რომ დაესწა როგორმე ბაშეი და ღარჩობით სიკვდილს გადაერჩინა.

### სასულიერო სემინარიის კამპოლის მკვლელობის გამო.

ამ საშინელმა ამბავმა ააღელვა მთელი ქალაქი. მკვლელობის დღესვე,

კუთვნილებას უნდა შეადგენდეს, როგორც მაგალითებრ: კობტა, ზომიერი და მოყვანილი ცხვირი, ასეთივე ყურები, „ანგელოზის“, „სირინოზის“ ხმა, „მარგალიტის“ კბილები, კი სიმღერა, კი ცეკვა-თამაშობა და მებრე სხვა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს თვისებანიც არა აქვს ხალხის ყურადღებას გამოკრეფული; უეჭველია, ხალხს თავისი აზრი ამეებზედაც აქვს შედგენილი და წარმოთქმული ლექსებში. თუ ოდესმე ელირსებით ლექსების ვრცელს, სრულს კრებულს, მაშინ ამასაც, რასაკვირველია, ნამდვილად გავიგებთ.

თავი-და-თავი ღირსება ჩვენს საერო ლექსებში გამოყვანილ ქალის მშვენიერების იდეალისა ის არის, რომ იგი საკუთრად ჩვენებურია.

სახის თეთრი კანი, წითური ლოყები, ხშირი, გრძელი და შავი თმა, შავი თვალ-წარბი,—ყველა ამ ღირსების მითვისება ქალისათვის საქართველოს ბუნებას, მიწა-წყალს ადვილად შეუძლიან; ამიტომ ღერმონტაგს, პუშკინს და სხვა უცხო პოეტებს სრული სიმართლე და საბუთი ქონდათ, როდესაც იგინი საქართველოს კვლუტებისაგან აღტაცებაში მოდიოდნენ.

ექვი არ არის, რომ ძლიერ იშვიათია ერთსა და იმავე ადამიანში, ქალში ერთად მოთავსებული იყოს ყვე-

24 მაისს, მთელი ქალაქი მართლად ამ შემადრწუნებელ ამბავზედ ლაპარაკობდა, ყველა სწუხდა და ნანობდა, რომ ასე უწყალოდ, შეუბრალებლად მოჰკლა 18 წლის ყმაწვილმა კაცმა თავის უფროსად ნამყოფი, სასულიერო პირი, დეკანოზი მამა პაულე ჩუდუკი. ყველას უკვირდა, როგორ გაბედა და როგორ ჩაიდინა ასეთი საშინელი აე-კაცობა ისეთმა ყმაწვილმა, რომელსაც ათი და თერთმეტი წელიწადი სწავლაში გაუტარებია და, მამასადამე, კეთილ-შობილური, კაცთ-მოყვარე და უფროსთა და მრწემთელთა მორჩილებისა და სიყვარულის გრძობა უნდა განემტკიცებინაო. ამბობენ, რომ მკვლელი ქართველია და არა ოსიო. ეს კი სარწმუნოა, რომ იგი მღვდლის შვილია. მისი მამა ყოფილა ერთი საწყალი მღვდელი სოფელ ძვერისა, ლიანების პირზედ. მით უმეტეს არის საკვირველი და წარმოუდგენელი ეს სახარო საქციელი ლავანთილისა, რომ ამისთანა მშვიდობიანს ქვეყანაში, მშვიდობიანს ხალხში დაბადებულმა... ასეთი აე-კაცობა გაბედა. დედა და მამა აღარა ჰყავს თურმე... ამ სამის თთვის წინად რალაც დანაშაულობისათვის გამორიცხული იყო თურმე სემინარიიდან და ამის გამო ყოფა-ქცევის მოწიშობა ცუდი ჰქონდა... ლავანთილის უყიდნია ხანჯალი, დაუმალოეს რუსულის სეროტუკის ქვეშ, ძალად შევარდნილა მამა რექტორის სახლში და, ამბობენ, აურ-ზაურს-დასდგამია: უთუოდ უნდა მომცე მოწიშობა და ყოფა-ქცევის მოწიშობაც გადაისწორა. მამა რექტორს ვეღარ-კი მოუწვრია სიტყვის თქმა, რომ სემინარიის შეგირდად ნამყოფი მოტრიალებულა, ამოუძვრია მოზდილი ხანჯალი და უტაკებია ფერდში უკანვე გაბრუნებულისთვის და, როცა რექტორისათ რექტორი უნებლიედ შემოტრიალებულა და დაუყვირნია: მიშველეთ, მომკლესო! განხეცებულს დანაშავეს, უფრო გახეცებულს, ხანჯალი მუტელში დაუტია

ლა ის გარეგანი ღირსებანი, რომელსაც ხალხის იდეალი თხოვეულობს; მაგრამ ცალკ-ცალკე ანუ რამოდენისამე ერთად—ყოველთვის შესაძლებელია, რის მოწამეც ყოველი ჩვენთაგანია.

ხალხი თავისავე ლექსებში მხოლოდ ერთს მაგალითს გვიჩვენებს ბუნებისაგან ასე უხვად დაჯილდოვებულისას:

ეს გაზლავთ

### თამაზა

საქართველოს დედაფაქი, დედა ქართლისა თამარი, სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი; ... სიბრძნით, სიუსვით ქებულა, დილის ცისკრისა სადარი... და სხვა.

აღ. მირიანაშვილი

### შეძლოვის გასწორება

ამ წერილის დასაწყისში, რომელიც იყო დაბეჭდილი ჩვენის გაზეთის 109-№-ში, მესამე სვეტზედ შეცდომით დაბეჭდილია:

„გი ამ შემოხვევაში წაგავს“... უნდა იყოს: „გი ამ შემოხვევაში არ წაგავს“...



და წლები სულ ვადმოუყრენებია. ზოგნი ასე ამბობენ, ზოგნი კი აი როგორ მოგვიტხოვრებენ: ლავიაში-ლი ჩუმად შეპარვია თურმე განსვენებულს რექტორს, წინა-თახში და-მალულა და როცა რექტორი გამო-სულა, ანაზღვეულად სცემია, დაუ-ცია მუცელში ხანჯალი და შიგ გა-დაუტრიანებიაო. განსვენებულს წაუ-ვლია ქრილობისათვის ხელი, რომ მიგნეულობა არ ვადმოსკვიროდა და როცა მობრუნებულა და დაუძახ-ნია: მიმეღეთო! — მაშინ კიდევ დაუკრავს ხანჯალი კისერში... იმ წუთასვე რექტორის სახლში შეიკ-რიფენ მასწავლებელნი სემენარისა. ზოგს თურმე იმ დროს ეგზამენები ჰქონდა. ათის ნახევარს მოხდა ეს ამბავი, მოვიდნენ მაშინათვე პროკუ-რორი, გამოძიებელი დიდთა და სა-ყურადღებო საქმეთა, ეციგუბერნა-ტორი თ. გორაკი შარვაშიძე, პოლიც-მეისტერი როსინსკი და სხვანიო. პა-ტარა ხანს უკან მობრძანდა თურმე მისი მალა-ყოვლად-უსამღებლოე-სივება მთავარ-ეპისკოპოსს პავლე. ექი-მებმაც მალე მოასწრეს, მაგრამ განსვენებული სისხლისაგან ისე და-ლილი ყოფილა, რომ ექიმებს მაშინ-ვე იმედი ვადუწყებიათ. არქივმა მიაღებინა თურმე წმიდა საიდუმლო. 2 საათს შემდეგ სასიკვდილო ქრილო-ბას საზარელის მახვილისას ვედარ გა-უძლო თურმე რექტორმა და სული განუტყვა...

### დამაკვირდი!

მწუხარებისა და უბედურების ატანა ჭკუშარბი ვაჭარება. (გოლტონი)

უბედურების ატანა ისე მწუხარ არ არის, როგორც მეტის-მეტის ბედნიერ-ების: მიწვევა გულს ამაგრებს, მკარე კი ღონეს აწმამებს. (იგორი)

ერთი ფარულად ხამოვარდნილი ცრემ-ლი უფრო გულ-შესატყვარია, ვიდრე მთელი ნაკადული ცრემლითა. მღუბანე მწუხარება უფრო მეტად გტყვის გულს. (კარბი)

ვაი სოფელს ამას და მისთა მდგომრთა, ბოროტებისა და სიჭრუის ჭურთხა!.. (თ. ჯიბე-ჭაჭაძე)

ვითა ვარდის სიტყუოფენი მალე სჭკნების და განჭკნების, ანუ სიზმარს საამურსა ხილვა ტკბილა გვეჭკნების, ესრედ მსწრაფლ ჭრბა, სიჭხუჭკნე, კვალნიც შეხიცი ვერს სხნდებს. (თ. გრ. ობრედიანი)

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს. (თ. ნ. პანაიოვილი)

### ნარკვევი

(ურნალ-გაზეთობიდან) საინტერესოა, შევიტყუათ, რა აზრისანი არიან პეტერბურგის მა-დალ-საზოგადოების მანდილო-საზნი მოსკოვის ქალაქის თავის სიტყვის თაბაზედ. მკითხველი მიჭვავება, რომ ეს ცნობა ბ-ნ მე-შჩერსკის «Дневник»-იდან მოგ-ეხვას, რადგანაც ბ-ნი მეშჩერსკი ერთად-ერთი ლიტერატორია, რა-

მელსაც არც ერთი ჭორი მადლ საზოგადოებაში არ გამოეპარება ხოლმე. აი ბ-ნი მეშჩერსკი რას მოგვითხრობს:

საცა უნდა წავიდე, ყველგან ამ გვა-რი ლაპარაკი მესმისო:

— შეიტყუე, მოსკოვის ქალაქის თავ-მა რომ ომი გამოაცხადაო, ამბობს ლიმი-ლით ერთი მანდილოსანიო.

— მომილოცნია, აქსაკოვი ისევ გა-გვცოცხლებია; მოსკოვის ქალაქის თავი იჭერს იმის ადგილსა, ამბობს მეორე მან-დილოსანიო.

— წმინდა სოფის ტაძარს ჩვენ ჩავიგ-დებთ ხელში, გაიძახის მესამე მანდილო-სანიო.

ყველა ეს მანდილოსნებია, გულ-მოსულად განმარტავს ბ-ნი მე-შჩერსკი, დედები არიანო, მაგრამ მე მაინც ამ პეტროვიტს მანდი-ლოსნებს შემდეგი პასუხი მივე-ციაო:

თქვენს დაცინვაში ვერც გონების მა-ხვილობასა და ვერც დიდს ჭკუას ვერა ვხედავო. სირცხვილია, კაცმა დაცინოს იმ სიტყვებს, რომელიც წმინდის გული-თა და გრძობით არის ნათქვამიო.

ძალიან გამბედავი ყოფილა ბ-ნი მეშჩერსკი, თუ მართლა ასე პირ-და-პირ თქმა შესძლებია და მე-ტადრე ქაღებისთვის.

აი ერთი თეატრალური განცხა-დება პროვინციაში, რომელიც სწო-რედ ამერიკულის თვისებისაა.

ნიკალავეში, გაზეთის სიტყვით, უნ-და მოსულიყო პროვინციაში განთქმული არტისტი-ქალი კაზლოვსკისა. თეატრის ანტრეპრენიორმა აუიშემა გააკრა მეჩხეში და მსხვილის ასოებით შემდეგი იუა და-წერილი: «გაზეთებო, ჩვენთან ნამდვილი კაზლოვსკის ქალი მოვა და უთუოდაც მოვაო».

### აბრეშუმის მრეწველობა

საინგილოში. (წერილი მესამე)

ასრე გადახალისდება ხოლმე (пре-вращается) ყოველი მწერი და, მა-შასადამე, აბრეშუმის ქიატ: მატლი იტყევა ქიად, ჭაბ—კუტად (პარკში), კუტი—შეშეკად, პებელა დაპურის 2,000—3,000 \*) მარცვალ თესლს (კვერცხს) და თეთონ მოკვდება.

5,000—6,000 მარცვალი ქიის თესლი იწონს ერთ მისხალს, მაშასა-დამე, ყოველი ორი ან სამი პებელა იძლევა ერთ მისხალ თესლსა. და 192—288 პებელა-კი დაპურის 96 მისხალსა, ანუ ერთ გირვანქა თესლსა. საშუალო რიცხვით, ერთი მისხალი თესლი იძლევა 4,000 პარკსა. ერთი გირვანქა-კი 384,000 პარკსა. და რადგან სალი, მაგარი პარკი იწონს 1/3 მისხალსა, ამიტომ ერთის მის-ხლის წონის თესლი აძლევს მრეწველს თითქმის 21 გირვანქა პარკსა და ერ-თის გირვანქის წონისა კი 2,016 გირ-ვანქასა ანუ 50 ფუთსა. ფუთი პარ-კი სულ უკანასკნელი რომ თუმანი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ერთი გირ-ვანქა თესლი ვაკეთებს 500 მანათის საღირალ პარკს.

სამწუხაროდ, საინგილოში ისრე უხვირად არის დაყენებული ამ სა-\*) წინა წერილში შეცდომით იყო დაჭე-დილი ამ რიცხვების მაგიერ ეს რიცხვები: 4,000—6,000.

სარგებლო მწერის მოვლის საქმე, რომ ხშირად გლეხებს სრული ერთი განგანქა თესლი ძლიერ-ძლიერობით აძლევს 10—12 ფუთს პარკსა. ხან-ლის-ხან-კი ბევრით ამაზედაც ნაკლებ-სა, მაგალითად, 2—3 ფუთსა.

წინანდელი, მამა-პაპური თესლი, თურმე, უფრო მაღლიანად ასაჩუქ-რებდა ხალხსა, მინამ ახალი თესლი, ჯაპუნი. ეს უფრო აისხნება იმ გა-რემობით, რომ ამ თესლის შემომ-ლებლებმა ხალხს სრულიად არ შეას-წავლეს ხელობა და მოვლის წესი და რიგი, საქირა ამ მწერის გაჩენა აღზრდისათვის.

ესენი, ვითომ და კეთილის-მყო-ფელნი, იყენენ ნუხელი, ყიზილბაში ანუ შექი-არანის (ძველებური შექი-არანის) მცხოვრებნი. ამ 10—15 წლის წინად მ. ი. უმაღლესობის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნება-დართვით ნუხში ვილაც ფრანგებ-მა მოიტანეს ჯაპუნის თესლი, დაუ-რიგეს ხალხს «სანახევროდა», ესე იგი, მსურველს თესლი ეძლეოდა უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ თეს-ლის «შექმნილია პარკი შუაზედ უნ-და გაეყოთ თესლის პატრონსა და მწარმოებელ-მომვლელსა. პირველ წელიწადს ჯაპუნმა ნუხის მაზრაში (შექი-არანში) კარგად დაასაჩუქრა ხალხი და, რასაკვირველია, ის ფრანგისა. მეორე წელიწადს რამდენ-მამე შექელმა ეს თესლი ვადმოტა-ნეს ზაქათალის მაზრაშიაც, აგრედ წოდებულ საინგილოში და აქ აგ-რეთვე «სანახევროდა» დაურიგეს. ესე-ნი ძრიელ აქებდნენ ამ თესლსა და ხალხს არწმუნებდნენ, რომ «ჯაპუნი» დიდს სარგებლობას მოგვცემთ და დღეიდგან შეიქმნება ერთ უმთავრესს წყაროდ ცხოვრებისაო...

ამისთანა იმედებმა და გაზეთადე-ბულმა დაპირებამ საგრძობად შეა-რყია მამა-პაპურის თესლის სარგებ-ლობის აზრი. როგორც ამერიკის აღმოჩენის დროს მთელი ევროპა—ოქროს შოვნის იმედით წახალისე-ბული და მადა-გაღვიძებული, მიაწყდა ამ ახალსა და უცნობს ქვეყანას და დაძებდა ოქროთი სავე კალიფორ-ნიასა, ისრე მოუყვიათ ინგილოვ-საც. ყველანი მიაწყდნენ ჯაპუნის შემომღებლებს: ზოგი მამა-სისხლად ჰყიდულობდა, ზოგი სანახევროდ იღებდა თესლსა. შექელნი ორი-სამი წლის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათგან ნაყიდი თეს-ლი არის ნამდვილი «ჯაპუნი» და მხოლოდ მათივე გამოყენილ პე-პელას შეუძლიან კარგი თესლი დაპ-ყაროსო. უმეცარი ხალხიც უჯერებდა მათ, და ამიტომ, წარმოსადგენია, თუ რამდენ პარკს გაიტანდნენ ეს წურბელანი ამ ქვეყნიდან.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ დროიდგან აქამოდვე სკოლებისა, თუ ნასწავლ კაცების გამრავლებისა-გამო-ჩენი ხალხი ცოტა არ იყოს გამო-ფიზილდა და ისეთი ამაღლად (პო-ლიტიკოსი) შეიქმნა, რომ ყოველი მაწარწალა, კეთილის-მყოფელის ქურ-ქით გამოცხადებული, ვერც რიგად ვეღარ ატყუებს ხალხსა. მართალია, ეხლაც მრავალი გაიძევა ჩარჩნი და-წარწალბენ, მაგრამ ისე ვეღარ ატ-ყუებენ ხალხს, როგორც წინად. თუ დიდმა გაჭირებამ არ აიძულა, გლეხი ვერ გაიჩქერებს (გაიმეტებს), თავის ნაშრომი იაფ-ფასად გაჰყიდოს. მაგრამ ამ ყმადა ჩვენ არ ვავაგრძე-ლებთ საუბარს ვაჭრობაზედ, ამას

ჩვენ მოვანხართ სხვა დროს. ეხლა ისევ დაუფურცლებით ზემო-აღნიშ-ნულს **სანახევროდა**—აბრეშუმის მრეწვე-ლობას საინგილოში.

— **როგო ხართ, დე-კანა!**

— **კარგა.**

— **ნუგან ავიდაყა?**

— **ჭეჯ, ვადაი.**

— **ადრ ან ანასა, ჟან გო!\*)** ხეს ჭალა (კურ) კუჭურ კარგა ან გამო-უდა. სიცივეიც არის.

— **რაუმ (რა) უფოთ, ჟან გო!** შანსაც (მარხან) გასან აადიოთ. აი-მაჭათ (იმისთვის, იმიტომ) ნუგან მოგაცდა. წელს ახლან ადრ აადიოთ. ნახათ (ენახათ) რაა იქნებ. დემთი კარას ჭანამე! დემთის სხეჯზე, ქურმუხის საყდახას და ჩან (ჩენ) გასწალას (კვირა-ძალი) თითო ფანქაქა აშიდა და სამსტოა დაგზი-რებაგარ.

— **მადლობა დემთს! იმის კა-რას ჭანამე, შეგეჯა დაბა-დურ-ბათსა (ღარიბ-ლატას).**

აი ნიშუში ინგილოს დედა-კაცების მოკითხვა - მისალმებისა ერთმანერ-თის შეხვედრის დროს ადრე გაზაფ-ხულზე. მართალია, დედა-კაცებს სხვა მრავალი საქმეცა აქეთ ამ დროს, მაგ. ბოსტნეულის თესვა, შინაური მრეწველის საქონლის წველა და დღე-ბა და მრავალი სხვა, მაგრამ ყოველ-თა სხვა საქმეთა შორის ერთ უმთავ-რესს საქმეთა ითვლება ნუგნობა. ამი-ტომ რომ ოჯახი უბოსტნეულოდაც, ურძეოდაც იოლად წავა, მაგრამ ნუ-განი კი თუ მოუტდა, რაღა გაისტუმ-რებს სახელმწიფო ხარჯსა, სასკო-ლოსა, რილათი იყიდიან სამოსელსა, ანუ უძაფოთ რილათი შეჭკერ-დაჭკე-რავენ ტან-საცმელსა, რილათი მოი-ქსოვენ საბნებსა და სხ.-და-სხ.

ნუგანი, ნუგნის აღება ჰნიშნავს ქიის მოვლას თესლის თბილს სახლ-ში შეტანის დღიდგან მოკიდებული, ვიდრე პარკის შექმნამდის. მაშასადა-მე, ნუგნობა გრძელდება 1—35—40 დღემდის. ქიის თესლს რომ შეიტანს სახლში დედა-ბერი, ანუ ქიის მოვლა-ში დაოსტატებული დედა-კაცი, მაშინ ცოტადენს თესლს ცალკე დასდებს და ღმერთს შესწირავს და თანაც შეევედრება ამ სიტყვებით: «ღიდებუ-ლო ღმერთო, ხელ (ხელი) მოგამართ (მოგვიმართე) და კაი ნუგან (მოსავა-ლი) მოგეცე! რაიც განდება ამ თე-სლით (ცალკე ვადადებულო), იმ ფასით ყარებს ვიყიდი და შენ დაგი-კლავ.» ამისთანა თესლს და მისგან გამოსულს ქიას ჰქვიათ **ფანქაქა**. ფარაქლებს აიღებენ ხოლმე გათხო-ვილ ქალების და ოჯახის წულების სახელზედაც და ძალიან შესაძლებე-ლია, რომ ფანქაქა წარმომდგარ-იყოს სიტყვებიდან ქაქა და ფან (დასტა). ქალებისა და სახლის წუ-ლების ფარაქლის ერთ-ერთ ნაწილს ანუქებენ ხოლმე იმათ, ვის სახელზე-დაც იყო აღებული ფარაქალი. თუ ფარაქალის ქია არ დიხნოცა და კარ-გი პარკი შექმნა, მაშინ დარწმუნდე-ბიან, რომ მისი (ფარაქლის) მოსახე-ლე თალიანი (იღბლიანი) ყოფილა.

ნუგნის პე-კარგანობა დამოკიდე-ბულია დროზედაც. საზოგადოდ მი-ღებულია, რომ ქია ვადღეიდო მაშინ,

როდესაც მცენარე კუჭურს იბამს და იჩენს, რადგან ნორჩ მატლ-ქიას ძა-ლიან უყვარს ნორჩი ფოთლები. თუ ფოთლები დამსხვილდა, მაშინ იგი მაგრდება და ახლად გამოსული ქია ძნელად ჰხრავს და კუჭს ვერ იძლებს, ისე რომ ხშირად ამის გამო კვდე-ბა.

საინგილოში ხშირად მცენარის და-კუჭურებასთან ერთად არ აჩენენ ქიას, რადგან პირველ სითბოს შემდეგ ხან-ლის-ხან დგება ყინვა—სიცივეები და ეს ძრიელ მანებელია ქიასთვის. შეი-ძლება ყინვამ სრულიად გასწყვიტოს ნორჩი მწერი. ამით აისხნება ის გა-რემობა, რომ ზოგიერთს სრულიად შემოუა ხოლმე პარკი და სხვები კი ვერ დასაცხსავიც არ შექმნიან.

შავიღეთ, მკითხველო, დაცხულს სახლში, ენახოთ იქ 2 არწინის სი-მალღე ცახის კარები **ტალეხზე**. თეთრის მატლების და იმათგან დაყე-ნებულ შრილის მაგიერ ეხლა სა-ქიე სახლში დიდი სიჩუმეა. ცახები ბოლოდამ თავადის შეჭრელებულია მწვანე, ყვითელ და თეთრ პარკებით, რომელნიც, თუ კარგი მოსავალია, გადაბმულია მშვენიერის **ყვე-მანდი-ლებით**, ესე იგი ბევრ ქსლიან ქიებს ცახზე ვერ გადაუბავთ ბრტყულად მრავალი ქსელი, ანუ მოუქსოვიათ ხელის ტოლა ხელ-სახოცი და მერმე იქვე ახლოს „შეუქმნიათ“ პარკი, ან და ზოგიერთნი კიდევ ჰქმნიან. აი, ამ უკანასკნელთ ვერ ვერ ვაუმადრებიათ პარკი, რომელშიაც მუშა-ქია მოკა-კულა და ბევრით ქარგალსავეთ გაჩ-ქარებით მუშაობს; ეხედეთ ჩვენ, როგორ იგი მუშაკი თავის პატარა ხორთუმიდამ უშვებს ქსელს და აკ-რავს პარკის ბაღეს შიგნიდან, როგორ იგი საცოდავი საათის ენასავით გა-ნუწყვეტილ იქნეს თავის ლამაზ თავს ყოვლის მხრისკენ და აწარმოებს თა-ვის ბრწყინვალე საქმეს.

მესამე დღეს დაცხვის შემდეგ **ნა-ზიანს** (ნაძირალს—**ხანაჯებს**) გადაპყ-რიან, ესე იგი ცახებს ტოლებიდან დააძრობენ, ცალკე დასდგენ, ნაზირს კი გამოიტანენ გარეთ და ან ურმებით წაიღებენ და სადმე ხეში ჩაპყრიან, და ან შეინახენ ცალკე და მერმე თონეს გასახურებლად იხმარებენ. ნა-ზირის ქვემოთ რჩება **ვკლუნტი** (ქია-თა ვანავალი, შავი ფერისა), რომელ-საც აგროვებენ და იხანენ, რადგან იგი მშვენიერი სასუქია ხახვისა და სხვა ბოსტნეულისათვის. მეოთხე ან მესამე დღეს, თუ კარგი მოსავალია, პარკის სარჩევი ნადი ანუ მამითადი იმართება. ნადში მოიწვევენ ხოლმე კაცებსა, დედა-კაცებსა და ყმაწვი-ლებსა. მონადენი აძრობენ ცახებიდან პარკებსა, **პუჭანს** (ხსენებულ კელ-მანდილებს და ქსელს) აცლიან, ასუფ-თავებენ და პარკს ცალკე იხანენ, პუჭას ცალკე. მონადენი ლაპარაკო-ბენ, მხიარულებენ, ხან-ლის-ხან ყურს უდგებენ სიმღერას რომელისამე მოხუ-ცებულის კაცისას, რომელიც მღე-რის თათრულად, რადგან ქართული სიმღერა მაშაღიანთა მულობელობის დროს სრულიად დაპყწყვიათ ამ ქვეყნის მკვიდრთა. მონადეთ უმასპინ-ძლდებიან ცხვრითა, პურითა, ფლა-ვითა და ღვინითა. ხან-ლის-ხან ნადი ორს-სამს დღეს გასტანს ხოლ-მე...



